



წინასამაგისტრო ნაშრომი

წინასამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს შემოქმედებითი ხასიათის მცირე ზომის ნაშრომს, რომელიც უნდა შეასრულოს და დაიცვას მაგისტრანტმა სამაგისტრო პროგრამის III სემესტრში.

წინასამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას უნდა გამოვლინდეს მაგისტრანტის ცოდნის, პრაქტიკული უნარების დონე და მათი შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, მოხდეს მათი გაღრმავება კონკრეტული საკვლევი თემის ფარგლებში.

მოცულობა: **5 კრედიტი (125 სთ.)**, მათ შორის : საკონტაქტო მუშაობა : 36 საათი (32+4)
დამოუკიდებელი მუშაობა: 89 საათი

წინასამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა მიმდინარეობს ხელმძღვანელთან კონსულტაციების და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

მეთოდები: წინასამაგისტრო ნაშრომის თემის დამუშავების პროცესში ამა თუ იმ მეთოდის თუ მეთოდთა კომბინაციის უპირატესი გამოყენება დამოკიდებულია კონკრეტული წინასამაგისტრო ნაშრომის თემაზე, კვლევის ობიექტისა და საგნის სპეციფიკაზე, დასახულ მიზნებსა და ამოცანებზე. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ისტორიული ანალიზის, შედარებითი ანალიზის, სისტემური ანალიზის, ინდუქციის, დედუქციის, სინთეზის ან/და სხვა მეთოდები.

წინასამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში გამოიყენება ვერბალური - კომუნიკაცია წინასამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან, მსჯელობა, დასკვნების ჩამოყალიბება და ა.შ.; წერიტი - ჩანაწერები და წინასამაგისტრო ნაშრომის ტექსტის მომზადება; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება - მონაცემების და ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, ადეკვატური კომპიუტერული პროგრამების გამოყენება წინასამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და გაფორმების მიზნით, პრეზენტაციის გამართვა და ა.შ., წიგნზე მუშაობის მეთოდები.

წინასამაგისტრო ნაშრომის დაცვა განხორციელდება ელექტრონულ ფორმატში, ვერბალური განმარტებების თანხლებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნაშრომის მიზნების და ამოცანების დასახვას და მათი მიღწევის ადეკვატური გზებისა და კვლევის მეთოდების შერჩევას და გამოყენებას.

წინასამაგისტრო ნაშრომის თემა და თემის ხელმძღვანელი:

წინასამაგისტრო ნაშრომის თემას სტუდენტი ირჩევს საკუთარი შეხედულებისამებრ, მის მიერ როგორც პირველ ისე მეორე სემესტრში გავლილი სავალდებულო თუ არჩევითი სასწავლო კურსების თემატიკიდან, მოცემული სასწავლო კურსის განმახორციელებელ პროფესორთან შეთანხმებით და განცხადების საფუძველზე წინასამაგისტრო ნაშრომის თემის და ხელმძღვანელის დამტკიცების თაობაზე. განცხადება დამოწმებული უნდა იყოს განმცხადებლის ხელმოწერით და შესაბამისი პროფესორის რეზოლუციით, რაც ადასტურებს ხელმძღვანელობაზე მის თანხმობას.

შენიშვნა: წინასამაგისტრო ნაშრომის თემა არ შეიძლება იყოს სამაგისტრო ნაშრომის თემის ნაწილი

წინასამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია მაგისტრანტს ჩაუტაროს კონსულტაციები, გამოთქვას შენიშვნები და მისცეს რეკომენდაციები, ეტაპობრივად შეუმოწმოს

შესრულებული სამუშაო, დაეხმაროს მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში. მაგისტრანტი სხვადასხვა წყაროს მეშვეობით დამოუკიდებლად მოიძიებს და გამოიყენებს წინასამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ მასალებს, მონაცემებს, ინფორმაციას, დაგეგმავს შესასრულებელი სამუშაოს ეტაპების თანმიმდევრობას და დროს. წინასამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული ლიტერატურა და კვლევის მეთოდები თანხმდება ხელმძღვანელთან.

შენიშვნა: დასრულებულ წინასამაგისტრო ნაშრომს მაგისტრანტი წარუდგენს ხელმძღვანელს და მისი წინასწარი შეფასების საფუძველზე დაიცავს საჯაროდ. დასრულებული ნაშრომი შეფასებისათვის წარედგინება პროფესორს არაუგვიანეს მე-17 სასწავლო კვირისა, დაცვა შედგება მე-19/მე-20 სასწავლო კვირისა.

კვლევითი პროექტის (ნაშრომის) არქიტექტონიკა და გაფორმების წესი

წინასამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. წინასამაგისტრო ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A4 ზომის 15 გვერდზე ნაკლები, შრიფტი – ”სილფაენი”, ზომა - 12, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა - 14, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2 სმ.;

2. წინასამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა:

- თავფურცელი - წინასამაგისტრო ნაშრომის პირველი გვერდი;
- შესავალი – ასახავს ნაშრომის თემას, მიზნებსა და დასმულ ამოცანას, კვლევის საგანს და გამოყენებულ მეთოდებს;
- ძირითადი ტექსტი – შეიძლება დაიყოს პარაგრაფებად/ქვეპარაგრაფებად;
- დასკვნა - ასახავს წინასამაგისტრო ნაშრომის შედეგებს;
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - მიეთითბა ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ – უცხოურ ენებზე. ნუსხაში უნდა მიეთითოს:

➤ სტანდარტები ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის

წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:

- ავტორის სახელი და გვარი,
- სათაური
- გამოცემის ადგილი:
- გამომცემელი,
- წელი
- გვერდი
- ნიმუში

1. გეგეჭკორი, არნოლდ კაკასია - ბუნების საგანძური. (თბილისი: მერიდიანი, 2007).

2. Ball, Philip Bright Earth: Art and the Invention of Color (New York: Farrar, Straus and Giroux, 2001), 140.

დამოწმება ტექსტში

(გვარი წელი, გვერდი)

(Ball 2004, 6-18)

(გეგეჭკორი 2007, 27)

თუ ვიმოწმებთ წიგნს, რომელსაც ჰყავს ორი ან სამი ავტორი

- პირველი ავტორის გვარი, სახელი,
- მეორე ავტორის სახელი, გვარი და მესამე ავტორის სახელი გვარი.
- წელი.
- სათაური.
- გამოცემის ადგილი:
- გამომცემელი.

ნიმუში:

1. კველიძე, კორნელი და ალექსანდრე ბარამიძე. ძველი ქართულილიტერატურის ისტორია: V-XVIII სს. (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987).

2. Appleby, Joyce, Lynn Hunt, and Margaret Jacob. Telling the truth about history. (New York: W.W. Norton & Company, 1994).

დამოწმება ტექსტში:

(გვარი და გვარი წელი, გვერდი)
(კეკელიძე და ბარამიძე 1987, 45);
(Appleby, Hunt and Jacob 2005, 27)

**სამეცნიერო ჟურნალების სტატია
დამოწმება ბიბლიოგრაფიაში:**

- ავტორის გვარი, სახელი.
- ჟურნალის გამოსვლის წელი.
- სტატიის სათაური.
- ჟურნალის სახელწოდება,
- № ნომერი:
- გვერდები.

ნიმუში

1. ბუთხუზი, ნათია. 2016. ლოგისტიკური პროცესების აუტოსორსინგი. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული #7:71-74
2. Beattie, J.M. 1974. The pattern of crime in England, 1660-1800. Past and Present, no. 62:47-95.

დამოწმება ტექსტში:

(გვარი წელი, გვერდი)
(ბუთხუზი 2016, 71)
(Beattie 1974, 90)

ინტერნეტში განთავსებული მასალა

ბიბლიოგრაფიაში:

- გვარი, სახელი.
- წელი.
- სათაური.
- გამოცემის ადგილი:
- გამომცემელი. URL მისამართი
- (წვდომის თარიღი)

ნიმუში:

ჯორჯაძე არჩილ 2010. წერილები. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/samsaxurebi-da-servisebi-7/gamomcemloba1/cignebi/archil-djordjadze-werilebi.page> (1.05.2016)

Samora, Julian and Patricia Vandel Simon. A History of the Mexican-American People. Rev. ed. East Lansing, MI: Julian Samora Research Institute, Michigan State University, 2000.

<http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six> (19.12.2005).

ტექსტში:

(გვარი წელი)
(Samora and Simon 2000).
(ჯორჯაძე 2010)

სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში:

- მთავრობის (ქვეყნის, ქალაქის, ოლქის ან სხვა ერთეულის) და ხელისუფლების ორგანოს (საკანონმდებლო ორგანოს, აღმასრულებელი დეპარტამენტის, სასამართლო ბიუროს, საბჭოს, კომისიის ან კომიტეტის) სახელწოდება, რომელმაც გამოსცა დოკუმენტი;
- დოკუმენტის ან კრებულის სათაური, თუ ასეთი არსებობს (როგორც წესი, დახრილი შრიფტით);
- ავტორის, რედაქტორის ან შემდგენლის სახელი და გვარი, თუ მითითებულია;
- ანგარიშის ნომერი ან სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაცია;
- მონაცემები პუბლიკაციის შესახებ: გამოცემის ადგილი და გამომცემლის სახელწოდება (აშშ-ის ფედერალური მთავრობის მიერ გამოცემული აქ განხილული ყველა პუბლიკაციისთვის გამოიყენეთ აღნიშვნები Washington, DC, და Government Printing Office), გამოქვეყნების თარიღი;
- გვერდის ნომრები ან ადგილის დასადგენი სხვა მონაცემები, თუ საჭიროა

ნიმუში

ბიბლიოგრაფიაში

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის და მსესხებელზე დაკისრებული ფინანსური ხარჯების განმარტების თაობაზე №136/04 . თბილისი 2017 წლის 26 სექტემბერი
Food Security Act of 1985, HR 2100, 99th Cong., 1st sess., Congressional Record 131, no. 132, daily ed. (October 8, 1985): H 8353-8486.

ტექსტში,

1. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის და მსესხებელზე დაკისრებული ფინანსური ხარჯების განმარტების თაობაზე 2017, 14)
2. (Food Security Act of 1985, Record 131, no. 132)

დანართები (ცხრილები, სქემები, სხვა საილუსტრაციო მასალა) – მიეთითება არსებობის შემთხვევაში.

შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები

წინასამაგისტრო ნაშრომის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტანია. შეფასებას ექვემდებარება ხელმძღვანელის მიერ უშუალოდ ნაშრომი (მაქს. ქულა - 60) და ნაშრომის პრეზენტაცია აუდოტორიის წინაშე (მაქს. ქულა - 40).

წინასამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

ნაშრომის არქიტექტონიკა და ტექნიკური პარამეტრები სრულ შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტთან - 10 ქულა;

ნაშრომის მიზნები და კვლევის შედეგები ურთიერთშესაბამისია - 10 ქულა;

ნაშრომის სტრუქტურა და განხილული საკითხები ნაშრომის თემატიკის ადეკვატურია - 15 ქულა;

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია რელევანტური ლიტერატურა, უახლესი ინფორმაცია და კვლევის ადეკვატური მეთოდები - 15 ქულა;

ციტირების ტექნიკა დაცულია - 10 ქულა.

პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები:

- პრეზენტაციის ტექნიკა და ტექნოლოგია - 10 ქულა;
- პრობლემის დასმა და წარმოჩენა -10 ქულა;
- დასკვნების არგუმენტაცია - 10 ქულა;
- პოზიციის დაცვა - 10.

- **შეფასების სისტემა**

- **დადებითი შეფასება:**

- ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი (91-100 ქ.);

- ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება (81-90 ქ.);

- გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება (71-80 ქ.);

- დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს (61-70 ქ.);

- ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს (51-60 ქ.);

- **უარყოფითი შეფასება:**

- ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს (41-50 ქ.);

- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს (40 და ნაკლები ქ.).

-

- **შენიშვნა:** "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს ენიჭება მომდევნო წელს გადამუშავებული წინასამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლება, ხოლო "ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში იგი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.